

საქართველოს საარჩევნო სისტემის სრულყოფის ძირითადი ასპექტები

პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე



2016

საქართველოს საარჩევნო სისტემის სრულყოფის ძირითადი ასპექტები

პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე

ავტორები: მანანა ბინაძე-მიქელაძე, ირინა ფუტკარაძე



აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა არის საქართველოში რეგისტრირებული ადგილობრივი და საერთაშორისო არაკომერციული იურიდიული პირების გაერთიანება, რომლებიც მიზნად ისახავენ აღმოსავლეთ პარტნიორობის პრალის, ვარშავისა და ვილნიუსის სამიტების ერთობლივი დეკლარაციებითა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით და სხვა ერთობლივი ღონისძიებებით განსაზღვრული მიზნების განხორციელების ხელშეწყობას.

Eastern Partnership Civil Society Forum Georgian National Platform is an association of local and international non-commercial legal entities registered in Georgia, aiming to promote and implement the goals set by the Joint Declarations of the Prague, Warsaw and Vilnius Eastern Partnership Summits and the EU-Georgia Association Agreement of European Neighborhood Policy and other joint events.

ავტორები: მანანა ბინაძე-მიქელაძე, ირინა ფუტკარაძე

რედაქტორი: ირინა კაკოიაშვილი

© აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

პოლიტიკის დოკუმენტი ეძღვნება საარჩევნო სისტემების ანალიზის საფუძველზე, არსებული პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, საქართველოსათვის ისეთი საარჩევნო სისტემის შემუშავებას, რომელიც ყველაზე რელევანტურად მიიჩნევა ქართული სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალური გარემოსთვის. დოკუმენტში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია საარჩევნო სისტემის, როგორც არჩევითობის პრინციპის, ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების მექანიზმზე, რომლის ეფექტურობაზეც დამოკიდებულია საარჩევნო ინსტიტუციის უმთავრესი პოლიტიკური არსის, „სახალხო სუვერენიტეტის“, იდეის რეალიზაცია.

დღეისათვის მსოფლიოში არსებული სახელმწიფოების უდიდესი უმრავლესობა იყენებს არჩევნებს, როგორც ხელისუფლების ორგანოებისა და თანამდებობის პირთა არჩევისა და განახლების ერთადერთ ლეგიტიმურ გზას. ამავე დროს, არჩევნები დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ფუნქციობის აუცილებელ და უმნიშვნელოვანეს ელემენტსაც წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც ხელისუფლების ორგანოები ღებულობენ ლეგიტიმაციას – ე.ი. სახალხო მხარდაჭერას და აღიარებას. არჩევნების შედეგი, თუკი ისინი პატიოსანი შეჯიბრის შედეგს წარმოადგენს, ამომრჩეველთა განწყობას და ქვეყნის განვითარების ტენდენციას ასახავს.

საარჩევნო სამართლის რეალიზაცია და სახელმწიფოს წარმომადგენლობითი ორგანოების ფორმირების შედეგები, არსებითად, დამოკიდებულია მისი განხორციელების საშუალებების კომპლექსურ-სამართლებრივ მექანიზმზე საარჩევნო სისტემის სახით, რომელიც წარმოადგენს კანონმდებლობით დარეგულირებული წესებისა და პროცედურების ერთობლიობას და რომლის საშუალებით ხდება ამომრჩევლის აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებების ამოქმედება, ხმის მიცემის პროცედურისა და არჩევნების შედეგების განსაზღვრის ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

საარჩევნო სისტემა ნებისმიერი დემოკრატიული რეჟიმის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს, რაც იმით აიხსნება, რომ დემოკრაციას საზოგადოებაში არ შეუძლია ფუნქციონა უფლებამოსილი წარმომადგენლის გარეშე, რომელიც საზოგადოების საქმეების სამართავად ყალიბდება, ხოლო ასეთი წარმომადგენლობა დემოკრატიული იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს, თუკი თავად საზოგადოება მონაწილეობს მის ფორმირებაში.

მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების პრაქტიკულ რეალიზებას ძირითადად კონკრეტულ ქვეყანაში მოქმედი საარჩევნო სისტემის თავისებურებები განაპირობებს, ანუ ის, თუ რომელი პრინციპი უდევს საფუძვლად არჩევნების შედეგების შეჯამებას – უმრავლესობის თუ თანაფარდობის. საუკუნეების მანძილზე აღნიშნული პრინციპების საფუძველზე ორი ძირითადი – მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემა ჩამოყალიბდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი მოხდა შერეული სისტემის ფორმირება, რომელიც მაჟორიტარული და

პროპორციული საარჩევნო სისტემების დადებითი მახასიათებლების კომბინაციას ცდილობს. დღეისათვის კონსტიტუციონალიზმში სამივე საარჩევნო სისტემა, მათში დამკვიდრებული თავისებურებების გათვალისწინებით, რამდენიმე კომბინირებული მოდიფიკაციის სახით არის წარმოდგენილი.

საქართველო დღეს თავისი პოლიტიკური ამოცანების შესაბამისი საარჩევნო სისტემის ძიებაშია. საარჩევნო სისტემის რეფორმა, რომლის იმპლემენტაცია 2020 წლის საარჩევნო ციკლისათვის არის დაგეგმილი, თავისი ფუნქციურ-კონცეპტუალური დატვირთვიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია ქვეყნის დემოკრატიზაციისათვის, ამიტომ რეფორმის შედეგების აღიარება ყველა დაინტერესებული სუბიექტის კონსენსუსისა და საერთო-სახალხო განხილვის საფუძველზე უნდა მოხდეს, რათა საქართველოში დასრულდეს ფორსირებული და პერსონიფიცირებული გადანაცვლებების მიღების მანკიერი პრაქტიკა, შემუშავდეს ქართული რეალობისთვის რელევანტური საარჩევნო სისტემა და არჩევნები რეალური პოლიტიკური შეჯიბრის ასპარეზად იქცეს, რაც ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნების ტრადიციას დაამკვიდრებს, ხელს შეუწყობს პოლიტიკური კულტურის ამაღლებას, ხელისუფლების ლეგიტიმაციის ხარისხის გაზრდას და სტაბილური პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებას.

ნაშრომში, ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით და თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკაზე დაყრდნობით, აქცენტირებულია საქართველოს საარჩევნო სისტემაში არსებული ხარვეზები, გაანალიზებულია საარჩევნო სისტემების ტიპოლოგიზაცია და მათი ასპექტები და შემუშავებულია თანამედროვე საარჩევნო სამართლის პრინციპებისა და კრიტერიუმების საფუძველზე ჩამოყალიბებული ქართული პოლიტიკური სივრცისათვის რელევანტური საარჩევნო სისტემის ალტერნატივები.

კვლევის შედარებითი ანალიზის გამოყენებით, საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობითა და ექსპერტული ნარატივის გათვალისწინებით, უპირატესობა ერთადერთი გადაცემადი ხმის სისტემას ენიჭება, რომელიც, მიუხედავად მისი რთული მექანიზმისა, ყველაზე ადეკვატურად პასუხობს იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დღეს საქართველოს საარჩევნო სისტემა დგას.

ამრიგად, პოლიტიკის დოკუმენტში განხილულია ერთ-ერთი პრობლემური საკითხი, რომელიც გარდამავალი პერიოდის ქართული სახელმწიფოს დემოკრატიზაციას განსაზღვრავს. საერთაშორისო გამოცდილებასა და დასავლური ცივილიზაციის დემოკრატიულ ტრადიციებზე დაფუძნებული, ქართული რეალობისათვის რელევანტური საარჩევნო სისტემის მოდელის შემუშავება ქვეყანაში სამართლიანი არჩევნების ჩატარების შესაძლებლობას შექმნის, რაც ხელს შეუწყობს საარჩევნო პროცესებისადმი ელექტორატის ნდობის გაზრდას, ხელისუფლებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ლეგიტიმაციის ხარისხის ზრდას, ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის ამაღლებას და საქართველოში დემოკრატიის დამკვიდრებას.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა
ტელ.: +995 32 293 11 28
მობ.: +995 570 10 44 90; +995 570 10 15 28
ელ-ფოსტა: np@ei-lat.ge
ვებგვერდი: eap-csf.ge